დანართი #1

დამტკიცებულია
სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის
აჭარის ტელევიზიისა და რადიოს
დირექტორის
2022 წლის 11 იანვრის
N02-03/ 01 ბრძანებით

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ
თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება

მუხლი **1.** ზოგადი დებულებანი

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს (შემდგომში ,,აჭარის ტელევიზია და რადიო“) მიერ თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრების განხილვის დებულება (შემდგომში - ,,დებულება“) შემუშავებულია "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონისა და „მაუწყებელთა ქცევის კოდექსის დამტკიცების თაობაზე" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2009 წლის 12 მარტის N2 დადგენილების (შემდგომში - ქცევის კოდექსი) საფუძველზე და განსაზღვრავს ,,აჭარის ტელევიზიასა და რადიო”-ში წარდგენილი საჩივრების ეფექტიანად და გამჭვირვალედ განხილვის პროცედურებს.

მუხლი **2.** საჩივრების განმხილველი ორგანო

1. თვითრეგულირების მექანიზმის ფარგლებში საჩივრებს განიხილავს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია (შემდგომში - კომისია), რომლის შემადგენლობაში შედიან კომისიის თავმჯდომარე და წევრები;
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული კომისია შედგება სამი წევრისაგანდა ის უნდა შეიქმნას საჩივრის დასაშვებად ცნობის დღიდან სამი სამუშაო დღის ვადაში;
3. კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები, სხვა მაუწყებლის თანამშრომლები ან პოლიტიკური პარტიის წევრები;
4. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ კომისიის წევრის აცილება ინტერესთა კოფლიქტის არსებობისას. გადაწყვეტილებას აცილების თაობაზე იღებს კომისია წევრთა ხმების უმრავლესობით. კომისიის აცილებული წევრის ჩანაცვლება ხდება ახალი წევრით ამ მუხლით დადგენილი წესით.
5. კომისიის თავმჯდომარეს ირჩევს კომისია ხმათა უბრალო უმრავლესობით.

მუხლი **3.** კომისიის რეგლამენტი

1. კომისიის მუშაობის რეჟიმს განსაზღვრავს კომისიის თავმჯდომარე;

2. კომისიის თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმის უფლება. კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობა. კომისიის წევრს, ადგილზე

არყოფნის შემთხვევაში, უფლება აქვს ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მონაწილეობა მიიღოს კომისიის მუშაობაში;

3. კომისიის გადაწყვეტილება მიიღება სრული შემადგენლობისუმრავლესობით;

4. კომისიის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს კომისიის თავმჯდომარე და წევრები. კომისიის წევრს უფლება აქვს თავისი განსხვავებული აზრი დაურთოს ოქმს, რის შესახებაც ოქმში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა; კომისიის გადაწყვეტილებით სხდომა შეიძლება ჩაწერილ იქნას ტექნიკური საშუალებებით, რა დროსაც არ დგება ოქმი წერილობითი ფორმით.

5. საჭიროების შემთხვევაში სხდომაზე განსახილველ საკითხზე ინფორმაციის ან/და მოსაზრების წარმოდგენა კომისიის თავმჯდომარემ შეიძლება დაავალოს აჭარისტელევიზიისა და რადიოს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ან იურისტს;

6. კომისიის სხდომაზე განსახილველად წარდგენილი დაკუმენტები და მასალები დაერთვება სხდომის ოქმს (ოქმის შედგენის შემთხვევაში) და ინახება აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმისწარმოების განყოფილებაში დადგენილი წესით.

7. კომისიის საქმიანობას ტექნიკურად უზრუნველყოფს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს იურიდიული მხარდაჭერის სამსახური, რომელიც ასრულებს კომისიის აპარატის ფუნქციას:

7.1. იურიდიული მხარადაჭერის სამსახური/კომისიის აპარატი:

ა) იხილავს საჩივრის დასაშვებად ცნობის საკითხს;

ბ) ახორციელებს საჩივრის განხილვის მომზადების შიდაუწყებრივ პროცედურებს;
გ) ორგანიზებას უწევს კომისიის სხდომებს;
დ) ადგენს კომისიის სხდომის ოქმებს;

ე) აწარმოებს კომისიის შიდაუწყებრივ დოკუმენტაციას.

8. დაუშვებელია კომისიის აპარატის საქმიანობაში ჩარევა. კომისიის მიმდინარე საქმიანობასთან დაკავშირებით კომისიის აპარატი ასრულებს მხოლოდ კომისიის მითითებებს.

მუხლი **4.** კომისიის კომპეტენცია

1. კომისია მოქმედი კანონმდებლობითა და ამ დებულებით დადგენილი წესით განიხილავს საჩივრებს შემდეგ საკითხებზე:

1.1. აჭარის ტელევიზიისა და რადიოს პროგრამებში მოყვანილი ფაქტების უზუსტობის გამო წარმოქმნილი დავები;

1.2. ფაქტების ზუსტი, სამართლიანი და მიუკერძოებელი გაშუქების ვალდებულების დარღვევისას წარმოქმნილი დავები;
1.3. კანონმდებლობით დადგენილი პროგრამული შეზღუდვების დაუცველობის გამო წარმოქმნილი დავები;

1.4. ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამების დადგენილ დროს განთავსებისა და აუდიტორიის დროული ინფორმირების ვალდებულების დარღვევები;

1.5. ქცევის კოდექსით დადგენილი ეთიკური ნორმებისა და პროფესიული სტანდარტების დარღვევები.

მუხლი **5.** საჩივრის განხილვის ვადები

1. კომისიის მიერ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მისი დასაშვებად ცნობის დღიდან 21 დღის ვადაში;

2. თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით საჩივრის განხილვა ვერ ხერხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა, არა უმეტეს 10 დღისა;

3. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მუხლი **6.** საჩივრის წარდგენა და დასაშვებად ცნობა

1. საჩივრის განხილვა იწყება მომჩივანის (შემდგომში - დაინტერესებული მხარე), დაინტერესებული პირის საჩივრის წარდგენით აჭარის ტელევიზიისა და რადიოს საქმისწარმოების განყოფილებაში. საჩივარი უნდა იყოს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

1.1. საჩივრის ავტორის ვინაობას, მისამართს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს და საკონტაქტო რეკვიზიტებს;

1.2. მოთხოვნას და იმ გარემოებებს, რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა;

1.3. საჩივრის წარდგენის თარიღს და საჩივრის ავტორის ხელმოწერას;

1.4. საჩივარზე თანდართული დოკუმენტების (საბუთების) ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

2. თუ საჩივარი შეაქვს დაინტერესებული პირის წარმომადგენელს, საჩივარს უნდა დაერთოს დადგენილი წესით დამოწმებული, უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი;

3. საჩივრის განხილვა მიმდინარეობს სახელმწიფო ენაზე. დაინტერესებული მხარის საჩივარი ან მასზე თანდართული დოკუმენტები შედგენილი/თარგმნილი უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე.

4. საჩივრის დასაშვებად ცნობა:

4.1. საჩივრის დასაშვებად ცნობის საკითხს იხილავს და, შესაბამისად, საჩივარს დასაშვებად/დაუშვებლად ცნობს კომისიის აპარატი.

4.2. კომისიის აპარატი, საჩივრის დასაშვებობის დადგენის მიზნით, საჩივრის წარდგენიდან 3 სამუშაო სამუშაო დღის ვადაში, იხილავს საჩივრის შესაბამისობას ამ მუხლის 1-3 პუნქტით

დადგენილ მოთხოვნებთან.

4.3. თუ საჩივარი შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს, კომისიის აპარატი დასაშვებად ცნობს მას და აღნიშნულის შესახებ აცნობებს დაინტერესებულ მხარეს.

4.4. თუ საჩივარი არ შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს კომისიის აპარატი, აცნობებს აღნიშნულის თაობაზე დაინტერესებულ მხარეს და ხარვეზის გამოსასწორებლად განუსაზღვრავს ვადას, მაგრამ არაუმეტეს სამი სამუშაო დღისა.

4.5. თუ დაინტერესებული მხარე დადგენილ ვადაში არ გამოასწორებს ხარვეზს, საჩივარი დარჩება განუხილველი.

მუხლი **7.** საჩივრის განხილვის პროცედურები

1. საჩივრის განხილვაში არ უნდა მონაწილეობდეს ის პირი, რომელიც რაიმე სახით დაკავშირებულია დაინტერესებულ მხარესთან ან არსებობს გარემოებები, რომლებიც გამორიცხავს მის მიერ საქმის მიუკერძოებლად გადაწყვეტას;

2. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე საჭიროების შემთხვევაში, კომისიის სხდომაზე შეიძლება მოწვეულ იქნენ სპეციალისტები ან მოწმეები. მხარეების ან კომისიის ინიციატივით სპეციალისტის მოწვევის ან მოწმის სხდომაზე გამოძახების საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია;

3. კომისიის თავმჯდომარე უფლებამოსილია კომისიის სხდომა დაატოვებინოს წესრიგის დამრღვევს;

4. კომისიაში დავა განიხილება დაინტერესებული მხარის ან/და მისი კანონიერი ან უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობით. განხილვისთვის დანიშნულ დროს დაინტერესებული მხარის ან/და მისი კანონიერი (უფლებამოსილი) წარმომადგენლის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დავა განიხილება მის გარეშე. დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილი შეტყობინება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნით, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით ან პირადად ჩაბარებით;

5. საჩივრის განხილვისას, საქმის გარემოებათა სრულყოფილი გამოკვლევის მიზნით დაინტერესებული მხარე უფლებამოსილია წარადგინოს მტკიცებულებები და შუამდგომლობები;

6. კომისიის სხდომაზე საქმის შესახებ მოხსენებას (ინფორმაციას საჩივრის შესახებ) აკეთებს კომისიის თავმჯდომარე ან კომისიის ერთერთი წევრი. ინფორმაციის მოსმენის შემდეგ საჩივრის წარმდგენი პირი კომისიას მოახსენებს იმ გარემოებების და მტკიცებულებების შესახებ, რომლითაც იგი მოითხოვს საჩივრის დაკმაყოფილებას;

7. კომისიის წევრებს აქვთ შეკითხვების დასმისა და წარმოდგენილი მტკიცებულებების გამოკვლევის უფლება;

8. კომისია ვალდებულია საჩივრის განხილვისას გამოიკვლიოს საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე;

9. დაინტერესებული მხარის ახსნა-განმარტებების გაკეთებისა და მისი მოსაზრების სრულად დაფიქსირების შემდეგ იმართება კომისიის წევრების თათბირი დაინტერესებული მხარეებისა და მესამე პირების მონაწილეობის გარეშე, რის შემდეგაც კომისია აცხადებს მიღებულ გადაწყვეტილებას;

10. კომისიამ შეიძლება გადადოს გადაწყვეტილების გამოცხადება საქმის სირთულის გათვალისწინებით არაუგვიანეს საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 21 დღისა. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე დაინტერესებულ მხარეს, თუ იგი არ ესწრება საქმის განხილვას ეცნობება, მის მიერ მითითებულ ელექტორნული ფოსტის/სატელეფონო კომუნიკაციის მეშვეობით.

11. კომისიის დასაბუთებული წერილობითი გადაწყვეტილება მხარეს უნდა გაეგზავნოს გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღის ვადაში. დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილი გადაწყვეტილება ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნით, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით ან პირადი ჩაბარებით;

12. დაინტერესებული მხარის ან კომისიის ინიციატივით, საქმის გარემოებების გათვალისწინებით სხდომა შეიძლება გადაიდოს. სხდომის გადადების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

13. კომისიის სხდომები საჯაროა. თუ არ არსებობს მომჩივანის დასაბუთებული მოთხოვნა სხდომის დახურვის შესახებ. სხდომის დახურვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს კომისია.

14. კომისიის გადაწყვეტილებები განთავსდება აჭარის ტელევიზიისა და რადიოს ვებგვერდზე.

მუხლი **8.** კომისიის გადაწყვეტილება**.**

1. კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1.1. საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

1.2. საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე;

1.3. საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

1.4. საჩივრის განუხილველად დატოვების შესახებ;

2. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება;

2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება;

2.3. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადები და წესები.

მუხლი **9.** კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის მიერ საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 7 სამუშაო დღის ვადაში (გადაწყვეტილების მიღებიდან), სააპელაციო კომისიაში (შემდგომში- სააპელაციო კომისია);

2. სააპელაციო კომისია იქმნება სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს" დირექტორის ბრძანებით და შედგება არანაკლებ სამი წევრისაგან.სააპელაციო კომისიის წევრები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიის წევრები, არ უნდა ჰქონდეთ მონაწილეობა მიღებული გასაჩივრებული გადაწყვეტილების მიღებაში.

3. სააპელაციო კომისია დაკომპლექტებული უნდა იყოს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და კომპეტენტური პირებით.

4. დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მოითხოვონ სააპელაციო კომისიის წევრის აცილება ინტერესთა კონფლიქტის არსებობის საფუძველზე. გადაწყვეტილება სააპელაციო ორგანოს წევრის აცილების შესახებ მიიღება სააპელაციო კომისიის მიერ ხმების უმრავლესობით. ხმათა გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. სააპელაციო კომისიის აცილებული წევრის ჩანაცვლება ხდება ახალი წევრით ამ მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი წესით.

5. სააპელაციო საჩივრის წარდგენა უნდა მოხდეს ამ დებულების მე-6 მუხლით დადგენილი წესით;

6. სააპელაციო კომისიას უფლება აქვს უარი თქვას აპელაციის არსებით განხილვაზე და ძალაში დატოვოს კომისიის გადაწყვეტილება, თუ დავა აშკარად უსაფუძვლოა, ხოლო კომისიის გადაწყვეტილება დასაბუთებული;

7. სააპელაციო კომისიის რეგლამენტი და მუშაობის ორგანიზაცია განისაზღვრება ამ დებულების მე-3 და მე-7 მუხლებით დადგენილი პროცედურებით.

მუხლი **10.** სააპელაციო საჩივრის განხილვის ვადები

1. სააპელაციო კომისიის მიერ საჩივრის განხილვა უნდა მოხდეს მისი წარდგენიდან 30 დღის ვადაში.

2. თუ საქმის გარემოებების გათვალისწინებით საჩივრის განხილვა ვერ ხერხდება ამ მუხლის პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, სააპელაციო კომისია უფლებამოსილია დასაბუთებული გადაწყვეტილების საფუძველზე გააგრძელოს საჩივრის განხილვის ვადა,არა უმეტეს 15 დღისა;

3. საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ეცნობოს ყველა დაინტერესებულ მხარეს.

მუხლი **11.** სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება

1. სააპელაციო კომისია ყველა დაინტერესებულ მხარეს წერილობითი ფორმით აცნობებს სხდომის დანიშვნის დღეს. დაინტერესებული პირისთვის გაგზავნილი შეტყობინება

ჩაბარებულად ითვლება საჩივარში მითითებულ მისამართზე საფოსტო გზავნილის გაგზავნით, ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნით ან პირადი ჩაბარებით;

2. სააპელაციო საჩივრის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილება ეგზავნება ყველა დაინტერესებულ მხარეს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წესით;

3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

1.1. სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე;

1.2.. სააპელაციო საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილებაზე;

1.3. სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

1.4. სააპელაციო საჩივრის განუხილველად დატოვების თაობაზე.

4. კომისიის გადაწყვეტილებაში აღინიშნება:

2.1. მისი მიღების დრო და ადგილი, მიმღებ პირთა ვინაობა და სააპელაციო საჩივრის წარმდგენი პირის დასახელება;

2.2. კომისიის მიერ დადგენილი გარემოებები და მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზე მოხდა გადაწყვეტილების მიღება;

მუხლი **12.** დასკვნითი დებულებები

წინამდებარე დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შეიძლება განხორციელდეს აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის ბრძანების საფუძველზე.